საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №75/ნ
2021 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის დაფუძნებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლა.

მუხლი 2

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილს 31-ე გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 32-ე გრაფა:

„

32	წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლა	სოფელი კოხტა	დაწ-საბ-საშ

„

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**